მიხეილ ადამაშვილი

თეთრი სიკვდილი



2015

„არასოდეს იკითხო ვის უხმობს ზარი, — ის გიხმობს შენ“ — ჰემინგუეის ეს სიტყვები პირდაპირ შეესაბამება იმ მდგომარეობას, რაც საქართველოში ნარკომანიასთან „ომის ფრონტზე“ შეიქმნა. ამ მძვინვარე ეპიდემიამ დღეს კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია და გაუმაძღარი ურჩხულივით სულ ახალ და ახალ მსხვერპლს მოითხოვს. ჩვენი პატარა, ღარიბი ქვეყნიდან უწყვეტად გაედინება ვალუტა თუ სხვა სიმდიდრე და სანაცვლოდ შემოდის შხამი და სიკვდილი.

ცნობილია, რომ მორიგი ულუფისთვის ნარკომანი ყველანაირ დანაშაულზე მიდის და ეს არის საერთო უბედურება ქვეყნისა და საზოგადოებისთვის, მაგრამ, პირველ რიგში, ნარკომანი ანადგურებს საკუთარ ოჯახს.

ეს შესანიშნავად იცის თქვენს წინაშე მდებარე პოემის ავტორმა მიხეილ ადამაშვილმა, რომელმაც ეს ნაწარმოები ჯერ კიდევ ოცი წლის წინ — 1986 წელს ციხეში დაწერა (ავტორი გამართლდა და 2 წელიწადში გათავისუფლდა. სხვათა შორის, პოემის დასურათებაც ასევე პატიმარ ტარას ვერეტელნიკის მიერ ბურთულიანი კალმისტრით რვეულის ფურცლებზეა შესრულებული). სწორედ ამიტომ, მკითხველისთვის თავიდანვე ცხადი ხდება, რომ ავტორი პრობლემას შორიდან არ იცნობს და მისი სიტყვები გულიდან მოდის, იგი მიმართავს მშობლებს, სკოლას, მთელ საზოგადოებას (იმ კომუნისტურ ეპოქაში აქ, ცხადია, ეკლესიაც იგუ-ლისხმებოდა), რათა ერი და ბერი დაირაზმოს — გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ — ამ ახალ „ქართვლის ჭირთან“ საბრძოლველად.

ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, დღეს ნარკომანია საქართველოში კატასტროფულად

„გაახალგაზრდავდა“ და სულ უფრო გასაგები ხდება, რომ ამ ჭირის სათავეც და გასაღებიც, პირველ რიგში, ოჯახში ძევს. სწორედ ამი-ტომ, მიხეილ ადამაშვილის ამ ნაწარმოების, რომელიც ჯერჯერობით ამ თემაზე მიძღვნილი პრაქტიკულად ერთადერთი პოემაა, სოციალური ღირებულება განუზომლად მეტია, ვიდრე მხატვრული: ავტორი ათიათასობით მშობელს მათთვის ყველაზე ადვილად გასაგები ენით — ამბის ლექსად თხრობით ესაუბრება...

„დედებო, გამოიღვიძეთ!

ხელად გეცლებათ გაზრდილი...“

ეს პოემა არ არის ჩვეულებრივი „მორიგი აგური“ ნარკომანიასთან ბრძოლაში განსხვავებით იმ უამრავი მშრალი „სააგიტაციო ფურცლისგან“, რომელთაც, სიმართლე ვთქვათ, სინადვილეში არავინ კითხულობს. ეს ნაწარმოები კი ყველამ უნდა წაიკითხოს ქალაქად თუ სოფლად და პირ-ველ რიგში საკუთარ გულში უნდა ჩაიხედონ იმ მშობლებმა, რომელთაც აქამდე „არ გამოიღვიძეს“ და სრულად გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა შთამომავლობის, ოჯახისა და ქვეყნის წინაშე.

თუ ჩვენ გვსურს გაბრწყინებული და არა „შპრიცზე გაკრული“ საქართველო, ნარკომანია ხერხემალში უნდა გადავტეხოთ, რისთვისაც უმთავრესია შეწყდეს ამ კერპისთვის სულ ახალი და ახალი მსხვერპლის შეწირვა — სწორედ აქ გადის მთავარი ფრონტის ხაზი მშობლების-თვის, სკოლისთვის, ეკლესიისთვის და მთელი საზოგადოებისთვის. იმედია, მიხეილ ადამაშვილის სიტყვაც თავის ადრესატამდე აუცილებლად მიაღწევს!

რამაზ გურგენიძე,

„თეთრი სიკვდილი"

1. მომავალი
2. აღზრდა
3. სიყვარული
4. თვითმკვლელები
5. ეშმაკის მოციქულები
6. თეთრი სიკვდილი



მომავალი

1

ღამის ორი საათია, სასწრაფოში რეკავს ზარი,
ავადმყოფი — ახალგაზრდა, მშობიარე არის ქალი.
სწრაფად ჯდება მანქანაში ექიმი და ორი მედდა,
გამოცდილი ეკიპაჟი მისამართზე ზუსტად ხვდება.
ავადმყოფი რომ გასინჯა, ექიმმა არ დაახანა,
მანქანაში მოათავსა, საავადმყოფოს გააქანა.
მშობიარე ქალს უმალვე დაეხვივნენ ექიმები,
ანალიზები აუღეს, დაელოდნენ მოთმინებით.
ღელავს დედა, ღელავს მამა, ვერ ისვენებს ნინოს ქმარი.
სარკმელისკენ ნერვიულად მიუპყრია ყველას თვალი.
ნინოს დედამ კიდევ ერთხელ ექიმები შეაწუხა,
შეეკითხა შვილის ყოფა და ნათქვამმა დაამწუხრა,
აღებულმა ანალიზმა უტყუარად დააზუსტა,
ორგანიზმში ნარკოტიკის მოხმარება დადასტურდა.
ექიმების განმარტებით დამძიმდება ქალის ყოფა,
კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება მომავალი ბავშვის ყოფა.
გამოვიდა ნინოს დედა, სახეს მიტკლის ფერი ადევს.
დამწუხრებულ დედის სხეულს უმძიმესი „ლოდი“ აწევს.
პროფესორმა ისტორია ყურადღებით წაიკითხა.
ანალიზმა შეაშფოთა, ნინოს საწოლს მიაკითხა.
კაბინეტში რომ შევიდა, მოიწვია ექიმები.
გააფრთხილა, საჭიროა ვიმოქმედოთ მოთმინებით,
უნდა ვიხსნათ დედაც, შვილიც, ნუ დავზოგავთ თავს და ძალას,
მოათავსეთ ავადმყოფი ცალკე ოთახს, ცალკე ალაგს.
მხოლოდ ორ დღეს დაველოდოთ, თუ ნაყოფი არ დაიძრა,
მაშინ ვცადოთ „ხელოვნურად“, იქნებ დედა მაინც ვიხსნათ,
ყოველ საათს მომახსენებთ ცვლილებებს მის ორგანიზმში,
ხვალ საღამოს კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით ანალიზში.
საავადმყოფოს შესასვლელთან ატუზულა ნინოს ქმარი.

აგერ, ორი ღამე არის მას არ მოუხუჭავს თვალი.
საგონებელს ჩავარდნილა, ფიქრის მორევს წაუღია,
მობუზულა, მოკუნტულა, თავი მხრებში ჩაურგია.
ყელში ბოღმა მობჯენია, გული შიშით ავსებია,
განსაცდელის მოლოდინში თვალი ცრემლით ავსებია.
გაახსენდა ბაქარს ნინო რომ გაიცნო, შეიყვარა.
გადუშალა თავის გული, ნინო ცოლად მოიყვანა.
ყვავილები ფანტელებად თავზე უხვად ეყრებოდათ,
საქორწილო სიმღერები დარბაზის ჭერს ეხლებოდა.
საზეიმო რიტუალმა რესტორანში გადინაცვლა,
საქორწილო ქართულ სუფრამ დიდ-პატარა აიტაცა.
ლოცეს ნეფე-დედოფალი, მათ უსურვეს გახარება,
სიყვარული, ჯანმრთელობა, სიცოცხლე და გამრავლება.
გამრავლება, შვილთა ყოლა, მომავალი სიხარული,
ნინოს, ბაქარს შვილი უნდათ, შვილი — მათი სიყვარულის.
ახლა, როცა ამ ბედნიერ წუთებს უნდა მიეგებოს,
ნუთუ ეშმაკს არ სძინავს და წინ უნდა გადაეღობოს?
დილით ადრე მიაკითხეს საავადმყოფოს ყველამ ერთად.
ექიმები ინახულეს, სმენად იქცა ყველა ერთხმად.
სანუგეშო ვერაფერი, ყველას შიში მოეძალა,
განსაცდელის მოლოდინში სახე ჩრდილმა დაუფარათ.
პროფესორმა ავადმყოფი კიდევ ერთხელ ინახულა.
ბრძანა მისი მომზადება, დააწყნარა, დაამშვიდა.
მთავარ ექიმს ის აფიქრებს, შეძლებს ნინოს ორგანიზმი
ნარკოტიკით, ნიკოტინით გაჟღენთილი, გაბოლილი,
შობოს შვილი, ეზიაროს ის დედობის წმინდა სახელს,
ანდა ბავშვს თუ იხილავენ ძლიერსა და ჯანმრთელს?
თითქმის ოთხი საათია იბრძვის მთელი პერსონალი,
რომ გადარჩეს მშობიარე, რომ გადარჩეს მომავალი.
ექიმების დიდმა შრომამ ნაყოფი მყის გამოიღო,
ნინოს ვაჟი დაებადა, ბავშვმა ხმაც კი ამოიღო.
ულოცავენ ექიმები ერთურთს ასეთ გამარჯვებას,
დედა-შვილი ცოცხალია, უხარიათ ყველას ერთხმად.

მოულოცეს ბაქარს ვაჟი და მეუღლის გადარჩენა.
ახალგაზრდა მამის გული ოცნებებში იწყებს ფრენას.
ბაქარის და ნინოს მშობლებს სიხარულის სხივი დაჰკრავთ,
მამაკაცებს ქეიფის და დროსტარების ჟინმა გაჰკრათ.
მართალია, შობადობა ნინოს ჰქონდა ძალზე რთული,
ახლა მისი კარგად ყოფნა უხარია ყველას გულით.
ბედნიერი დედა, ქმარი, ბაბუები, ბებიები,
ბედნიერი მომავალი, მხიარული „ფერიები“.

აი, ასე ხდება მარად, როცა მოდის სიყვარული.
ასე არის, როცა ქვეყნად იბადება სიხარული.
რა კარგია, როცა შენს ერს ემატება მომავალი,
ერთი ათასად გვიქციოს, შეგვიმცირდეს წარმავალი.

2

უკვე ოთხი დღე გავიდა რაც რომ ნინომ შობა ბავშვი,
უსიამო შეგრძნებები მას არ გამონელდა ტანში.
მოეძალა „ტკივილები“, თავბრუს ხვევა, გულის რევა,
ვერ იკავებს თავს და ნერვებს, სიგარეტის უნდა წევა.
ექიმს აღარ მოერიდა, სთხოვა „გამიკეთეთ მორფი“,
შეშლილი აქვს მთელი სახე, ტანი დაეფარა ოფლით.
არ სურს ექიმს მოუსმინოს, „მორფი უტრიალებს თავში,
დაავიწყდა, რომ დედაა, ელოდება ჩვილი ბავშვი.
ექიმი სდუმს, მის მუდარას არ უსმინა, ყურთ არ იღო.
იცის ნინომ ამ ექიმმა მისთვის სისხლიც რომ გაიღო.
ახლა ისე ცივად შეხვდა, ნინოს არც კი მოუსმინა,
ზიზღითაც კი გადახედა, ხმამაღლაც კი დაუყვირა.
მაგრამ ნინოს სულ არ ესმის არც ხვეწნა, არც დარიგება,
არც ყვირილი, არც დუმილი, მას სურს მხოლოდ „მორფის ვნება“.
ერთ დღეს ნინოს ექიმებმა არ შემოუყვანეს ჩვილი,
გადახედა, პალატაში ყველა დედას უწევს შვილი,
შიშის გრძნობამ დაუარა, ტანი სულ მთლად აებურძგლა.
ცუდი ამბის მოლოდინში მოიბუზა, მოიკუნტა.
წამოიჭრა საწოლიდან, ავმა გრძნობამ გაჰკრა მკერდზე,

შიშნარევი ხმის კანკალით ექიმს ჰკითხა შვილის ბედზე.
კარი ფრთხილად შემოიღო, ნინომ კარებს ჰკიდა თვალი.
თვალი, ცრემლით ავსებული, დაინახა მან ბაქარი.
რა შეხედა ნინომ ბაქარს, უმალ შეუქანდა გული.
ოთხი სიტყვა ამოღერღა: „ჩემო ბაქარ, ჩვენი შვილი“.
ჩემო ნინო, ჩემო ბაქარ, დაიღუპა თქვენი შვილი.
ვიცი, დარდით შეგეცვალათ წამიერი სიხარული.
თქვენი შვილის დაღუპვაში თქვენ ორივეს გიდევთ ბრალი.
სიცოცხლეში თან გაგყვებათ თქვენი თავის სამდურავი.
გადახედეთ თქვენს ცხოვრების წარსულ წლებს და წარსულ ყოფას.
არ იფიქრეთ მომავალზე, მოეკიდეთ წუთის ყოფას,
შხამს აჩუქეთ მომავალი, შეირყიეთ ჯანმრთელობა,
ნარკოტიკებს გაუგზავნეთ მსხვერპლად შვილის არსებობა.
თქვენ ფიქრობდით წუთიერი ბოდვა ტრფობას მოგიტანდათ,
არ იფიქრეთ, რომ ეს შხამი, მომავალსაც მოგიკლავდათ.
თქვენ ორივეს ორგანიზმი ნარკოტიკის შხამში ცურავს,
ნარკოტიკი თქვენს მომავალს ყოფის კარებს დაუხურავს.
თუკი თქვენს თავს არ მიხედავთ, ხელს არა ჰკრავთ ასეთ ყოფას,
შვილს კი არა, მომავალსაც დააფიქრებს თქვენი ყოფნა.
გირჩევთ, სანამ დრო კიდევ გაქვთ ამ სენისგან განიკურნოთ,
მხოლოდ ამით შეიძლება მომავალი დაიბრუნოთ.
გახდი დედა, გახდი მამა, ნახეთ შვილის სიყვარული,
გაიხარეთ თქვენი ყოფით, დაიბრუნეთ სიხარული.
ბაქარის და ნინოს ირგვლივ საბუთები გაამზადეს,
ნარკოტიკულ საავადმყოფოს სამკურნალოდ გააგზავნეს.

აღზრდა

1

სკოლის ზარი დაირეკა, ახმიანდა დერეფნები,
ახმაურდა ყველა ერთად, სკამები და მერხებიც,
ზოგმა კლასებს მიაშურა, ზოგმა კიდევ სპორტულ დარბაზს,
დარბიან და ბურთაობენ, არავინ არა გრძნობს დაღლას.
იმ დღეს კახამ კიდევ ერთხელ გაახარა დედის გული,
კიდევ ერთმა ხუთიანმა მოუტანა სიხარული.
ისადილა, დაისვენა, შემდეგ სწავლას მიჰყო ხელი,
მასწავლებლის დავალება შეასრულა ყველაფერი.
უხარიათ დედას, მამას კახას ასე ბეჯითობა,
ბიჭი ტოლს არავის უდებს, ცოდნის ტალღებს ეჭიდება.
გადის წლები ძალზე სწრაფად, კახა სწავლობს მეცხრე კლასში,
მაგალითის მომცემია, სანიმუშო არის ბავშვი.

2

ერთ დღეს კახას სკოლის შემდეგ, როცა სახლში ბრუნდებოდა,
სთხოვა მისმა ამხანაგმა „ვიდეოზე“ გაჰყოლოდა.
მის კლასელის ნაცნობ ბიჭებს კარგი ფილმი უშოვიათ,
„განგსტერებზე“ არის თურმე, სულ ერთი დღით უთხოვიათ.
კახა გაჰყვა თანატოლებს, შეიკრიბნენ უცხო სახლში.
„ვიდეოში“ ნანახ ფილმმა აიტაცა უმალ ბავშვი.
იქ სროლაა და მკვლელობა, ნარკოტიკი, განგსტერები,
კარატე და ჯიუ-ჯიცუ, მოჩხუბარი ამფსონები.
„ვიდეო“ და ეს ფილმები კახას ისე ახარებდა,
თავის დროის მეტ წილს უკვე „მეგობრებთან“ ატარებდა.
ერთხელ კახას „მეგობრებმა“ გაუშალეს თავის გული.
უთხრეს ფილმის ქირისათვის დასჭირდებათ მცირე ფული.
კახამ მამას სთხოვა ფული, თან კლასელიც დაიმოწმა,
მამამ კახას მისცა ფული ისე, სულ არ შეამოწმა.
ასე ბევრჯერ განმეორდა, კახამ თხოვნას მოუხშირა.
მამის, დედის, ბებოს ფულებს ახლებურად მოულხინა.
ერთხელაც არ შეეკითხნენ, თუ რად უნდა კახას ფული,

ვერ შეატყვეს, რომ სწავლაზე კახამ აიცრუა გული.
სახლში გვიან მობრუნებას ახალ მიზეზებით ხსნიდა.
კვალი რომ არ დარჩენოდა, ტყუილების ცოცხით გვიდა.
ორმა წელმაც გაირბინა, დაირეკა ბოლო ზარი,
კიდევ ერთმა გამოშვებამ გაიხურა სკოლის კარი.
კახამ არცთუ სასახელო ატესტატი გაიტანა,
თვითონ სულაც არა დარდობს, გულთანაც არ მიიტანა.
ის აგრძელებს ჩვეულ ყოფას, ვერ სცილდება მეგობრულ წრეს.
„გამსწორებელ“ ბიჭად იცნობს „მეგობრობა“ ამ თავის წევრს.
ძმაბიჭებმა გადაწყვიტეს წასვლა ჩრდილო კავკასიას,
ამბობენ, რომ იქ „ანაშა“ ბევრად უფრო იაფია.
გაიცნობენ სანდო ბიჭებს, დაიჭერენ მათთან კონტაქტს,
„მაცანკასაც“, „ცენტრიაკსაც“ შეიძენენ ყველა ერთად.
საამისოდ საჭიროა არცთუ ისე მცირე ფული,
ყველა უნდა დატრიალდეს მთელი სულით, მთელი გულით.
კახა სახლში გაემართა, ბევრი სულაც არ იფიქრა,
ბებოს დანაზოგი ფული ერთიანად ჩაიჯიბა.
მამას უჯრა გამოაღო, იქაც ნახა მცირე ფული.
დედის ბეჭედს მოჰკრა თვალი, ხელი ავლო სიხარულით.
აგერ, დათოც მოსრიალდა მამის საკუთარი „ვოლგით“.
კახა, დათო, ნიკო, მერაბ. აგერ, ჩვენი ილოც მორბის.

3

შეიკრიბნენ მეგობრები, იწყეს მცირე დისკუსია,
საქართველოს სამხედრო გზით წამოიწყეს „ექსკურსია“.
ანანურს რომ მიახლოვდნენ, წამს წამოსცდა სიტყვა დათოს:
„შევისვენოთ, ეს წარმტაცი ციხე-კოშკი ახლოს ვნახოთ“.
ძმაბიჭებმა დათოს სიტყვებს ზედ სიცილი დააყარეს,
რა დროს ციხე-კოშკებია, „პირზე ხელი დააფარეს“.
მლეთასთან რომ მიახლოვდნენ, სახინკლესთან შეისვენეს,
მცირე სუფრას შემოუსხდნენ და ხინკლებით წაიხემსეს.
გასცდნენ ყაზბეგს მეგობრები, გადაკვეთეს თერგზე ხიდი,
გაივაკეს, თეთრი „ვოლგა“, ნალჩიკისკენ სწრაფად მიდის.
კითხვა-კითხვით მიასწავლეს „ციგან მიშას“ სახლი, კარი.

გადმოცემით მათ იციან, მიშა სანდო ბიჭი არის.
მზის ჩასვლისას მიაყენეს „ვოლგა“ უცნობ ეზოს კართან.
აი, ბედიც ამას ჰქვია, მიშა ეზოს კართან დახვდათ.
წამს გაიცნეს ერთმანეთი, თან ბარათიც მოუკითხეს,
მიშას კითხვა არ სცოდნია, ისევ თავად წაუკითხეს.
მიშამ გულით გაიხარა, სტუმრებს სთხოვა სახლში შესვლა,
მცირე სუფრა გაუწყო და დაულოცა მათ ჩამოსვლა.
მცირე ვახშამს მოაყოლეს საქმიანი საუბარი,
მიშა კეთილი ბიჭია, თან პირსველი მოუბარი.
ვახშმის შემდეგ მიშამ „სტუმრებს“ შესთავაზა „პლასტელინი“,
თავის ხელით მოწეული, თავის ხელით დაზელილი.
ყველამ ერთხმად გაიხარა, შეაკეთეს პაპიროსში,
პერიოდულ „ნაფაზებით“ გაეხვივნენ თრობის ბოლში.
მეგობრებმა მოუწონეს მიშას მისი ნახელავი,
აქეს მისი არომატი, არა ეთქმით სამდურავი.
მიშა ბიჭებს არ დაზარდა, იწყო თხრობა „ანაშაზე“,
თუ რა შრომა იხარჯება მისი მოპოვების გზაზე.

4

ჩვენს მხარეში ამ მცენარეს „კანაპლიას“ ეძახიან.
მისგან თოკებს ამზადებენ, ღეროს ძაფად ააცლიან.
ზაფხულობით ეს მცენარე მწვანე წვენით იფარება.
ხელისგულით რომ მოსრისო, წებო ჭუჭყით იფარება.
უნდა ზილო დიდხანს, კარგად, რომ მიიღოს მუქი ფერი.
„პლასტელინში“ უხვად არის ღეროს წვენი, ჭუჭყი, მტვერი.
ეს „ანაშა“ ძვირად ფასობს, მას ვამზადებ მხოლოდ ჩემთვის.
მასზე დიდი მოთხოვნაა, „კაიფი“ აქვს, როგორც „ღმერთი“.
გასაყიდად მე მაქვს მხოლოდ „ცენტრიაკი“ ანდა „დური“,
მოგროვება იოლია, მანაც იცის კარგი ფული.
ყველამ იცის, ჩემს „კლიენტებს“ მე არ ვატან „დრიანს“, „ტრუხას“.
თქვენში ბევრმა ბიჭმა იცის, მოტყუება მე არ მიყვარს.
მეგობრებმა შეიძინეს „ცენტრიაკი“ ერთი კილო.
მას ისეთი „კაიფი“ აქვს „ბუზი გესახება სპილოდ“.

კმაყოფილი მეგობრები მასპინძელმა გააცილა,
ფული კიდევ გადათვალა, გულის ჯიბეს ჩააცურა.
კობის „ტეკთან“ ინსპექტორმა გააჩერა მეგობრები,
შეუმოწმა საბუთები მან ჩვეული მოხერხებით.
ინსპექტორი შეეკითხა, ვის ეკუთვნის ეს მანქანა,
დათო სულაც არ დაიბნა, წამითაც არ დაახანა.
ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, ჩაუცურა „„ჩუმად“ ფული.
საბუთები დაიბრუნა, გაიხარეს ამით გული.
ღამით გვიან ჩამოვიდნენ დაღლილები, ნამგზავრები.
შენაძენით კმაყოფილნი, კმაყოფილნი ამ მგზავრობით.
კახას მშობლებს ორი ღამე სულ არ მოუხუჭავთ თვალი.
სად არ რეკეს, სად არ ძებნეს, ვერსად ნახეს კახას კვალი,
სახლში გვიან მისულ კახას ყველა ფეხზე დახვდა მდგარი,
ყველას შავი ჩრდილი აწევს, არვინ არის მომღიმარი.
დედა ტირის, მამა ოხრავს, ბებოც ჩუმად იცრემლება,
კახას, ვითომც არაფერი, უსინდისოდ ეღიმება.
მამამ ვეღარ მოითმინა, სიტყვა უთხრა კახას მკვახედ,
ჯერ ხმამაღლა დაუყვირა და გააწნა სილა სახეს.
კახა უშნოდ დაიმანჭა, შეუბრუნა მამას სიტყვა,
სახლის კარი გამოაღო, დერეფანში გამოიჭრა.
დედის თხოვნას, ბებოს ქვითინს არ ათხოვა არცა ყური,
სულ სირბილით ჩაირბინა სადარბაზოს საფეხური.
აგერ, თითქმის ათი დღეა ვერ მოძებნეს კახა ვერსად,
მილიციას მიაკითხეს დედამ, ბებომ, მამამ ერთად.
თითქმის თვეა კახას სახლში დაიბუდა ცრემლმა, ოხვრამ,
სანუგეშო არა ისმის, ისმის ხმამაღალი მოთქმა.
საღამოთი ინსპექტორმა დაურეკა მშობლებს სახლში
და აცნობა, დავიჭირეთ თქვენი შვილი სხვის ბინაში.
მშობლებს გული შეუქანდათ, რა გაიგეს შვილზე ცნობა,
დედას გული შეუწუხდა და დაკარგა ქალმა გრძნობა.

სიყვარული

1

განაჩენის ჟამმა დაჰკრა, უსმენს ყველა ფეხზე დგომით,
მოსამართლესაც კი ზარავს ძალზე მძიმე განაჩენი.
განსასჯელთა სკამზე სხედან ოთხი ვაჟი, ახალგაზრდა,
დარბაზში კი იცრემლება ყველა, ვინც ისინი ზარდა.
ნიკო, გოგი, ზაზა, ვაჟა — ნარკომანთა ოთხეული.
დღეს ოთხივე ცხოვრებისთვის დაკარგული, წართმეული.
გოგის თვალწინ წარმოუდგა, გაახსენდა მას წარსული,
მისი მოკლე ცხოვრების გზის ტრაგიკული დასასრული.
ასე ახლოს ის არასდროს არ ყოფილა თავის თავთან,
გაახსენდა ყოველივე, გაახსენდა გოგის თამთა.

2

იმ საღამოს გოგიმ იას დაბადება მიულოცა
და მომავალ სიყვარულზე ოცნების გზა დაულოცა.
შეიკრიბნენ იას ტოლი ვაჟები და გოგონები,
ჩვიდმეტ-თვრამეტ წელს ითვლიან მათ ცხოვრების გოდოლები.
შემოუსხდნენ გაშლილ სუფრას, მღერიან და იცინიან,
თავმომწონე გოგონები ვაჟებს ჩუმად უღიმიან.
აქ ვაჟებმაც არ ახანეს და უკან არ დაიხიეს,
ეს კეკლუცი ქალწულები საცეკვაოდ გაიწვიეს.
გოგის თამთა მოეწონა, ვერ მოსწყვიტა ვაჟმა თვალი,
მის კისკისმა, სინარნარემ დაუმძიმა გოგის თავი.
მხიარული ეს შეკრება გვიან ღამემ დააცილა,
გოგიმ თამთას შესთავაზა და სახლამდე გააცილა.
ის საღამო გოგიმ ფიქრში, ოცნებებში გაატარა,
იგრძნო ვაჟმა, რომ მის გრძნობებს თამთამ ხელი დააფარა.
გოგიმ მტკიცედ გადაწყვიტა თამთას მისცეს თავის გული,
იგრძნო ვაჟმა, რომ ეს არის ის პირველი სიყვარული.
დღე არ გავა, გოგი თამთას სკოლის ზარის შემდეგ ხვდება.
ამით მათი სიახლოვე და კავშირი მჭიდრო ხდება.
თამთაცა გრძნობს გოგის მიმართ სულ არ არის ის გულგრილი,
აჰყვა ქალწულს ვაჟის გრძნობა, ოცნებებში გადაღვრილი.
შეხვედრებსაც მოუხშირეს, ერთად მეტ დროს ატარებენ,
მომავალზე ოცნებებით ფიქრის ცეცხლსაც აღვივებენ.

3

თამთამ სკოლა დაამთავრა, ჩააბარა გამოცდები,
ნიშნებიც აქვს საპატიო კარგი სწავლის და მოსწრების.
ულოცავენ მეგობრები თამთას სკოლის დამთავრებას,
გოგიმ უძღვნა თაიგული, თან მხურვალედ ეამბორა.
თამთამ, გოგიმ გადაწყვიტეს განმარტოვდნენ სადმე წყვილად
და აღნიშნონ ეს ბოლო დღე, მათ ბავშვობის დასასრულად.
გოგის ბებოს სახლს ეწვივნენ, ბებო სოფელს იყო სტუმრად,

ახალგაზრდებს სიხარულს ჰგვრის ერთად ყოფნა, ერთურთს ხილვა.
რა გააწყვეს მცირე სუფრა, გახსნეს ცივი შამპანური,
დაილოცეს მომავალი და დამდგარი სიყვარული.
თან მუსიკის ტკბილ ჰანგებში ჩაიბუდა მათმა გრძნობამ,
თბილ ამბორმა გაუღვიძა ახალგაზრდებს გრძნობის ტრფობა.
გოგიმ გრძნობებს აყოლილმა გააბოლა სიგარეტი,
თან თამთასაც შესთავაზა, დაახვია თავზე რეტი.
შემოეჭდო თამთას წელზე, მიიზიდა თრთოლვით მკერდზე,
დაეწაფა მის ბაგეებს, „დაეფერფლა“ ტრფობით ყელზე.
გვიან ღამით გამოეხსნენ თრობისა და ვნების მახეს,
თამთამ გოგის ჩააბარა ქალწულობის წმინდა სახე.
დღე დღეს მისდევს, კვირა კვირას, ტრფობას ტრფობა ემატება,
მათრობელა კვამლის მორევს ქალიც, ვაჟიც ეწაფება.
ორივ ისე მიიჩვია უცნაური კვამლის ძალამ,
ფიქრადაც კი არ მოსვლიათ მისთვის გვერდი აეარათ.
აღარ ახსოვთ სწავლა, შრომა, არ აფიქრებთ მომავალი,
მათთვის მხოლოდ თრობა არის საფეხური ამავალი.
ერთხელ გოგიმ კვამლის ნაცვლად თრობის ნემსი გაიკეთა,
თამთაც აჰყვა მის სიახლეს, გრძნობებში კვლავ ჩაიფერფლა.
ერთად იგრძნეს ორგანიზმში სისხლის სწრაფი მოძრაობა,
თრობის გრძნობის არნახული, უჩვეულო მოზღვავება.
„წამლის მაგიურმა“ ძალამ ორივ ცაში აიტაცა,
ახალ ტრფობის მწვერვალისკენ ქარზე სწრაფად გაიტაცა.
„წამლის“ ძალის შესადარად კვამლი არად ესახებათ,
ოცნებებში მთის მწვერვალი მხოლოდ ბორცვად ეხატებათ.
თამთამ, გოგიმ მოუხშირეს მეგობრების წრეში თრობას,
მიმზიდველად ესახებათ ყველას თვალწინ მათი ტრფობა.
ერთი კვირით გაემგზავრა გოგი „წამლის“ შესაძენად,
სხვა ქალაქში იძენს „წამალს“, თვალის არა შესამჩნევად.
თამთაც, გოგის მეგობრებიც, აგრძელებენ ძველებრ ყოფას,
„წამალი“ და მძიმე კვამლი — „რა ედრება ასეთ ყოფნას?“
ტახტზე მისვენებულ თამთას ვაჟა ფრთხილად გადაევლო.

თამთა არც კი შეიშმუშნა, ვაჟაც ყელზედ შემოევლო.
ჩაიფერფლნენ გრძნობის ალში, შეაწებეს ორი მკერდი
და დაღლილებს ჩაეძინათ ასე, ერთმანეთის გვერდით.
სათითაოდ დაურიგა თამთამ ბიჭებს გრძნობის ალი,
შეაჯერა ყველას გული, გახდა მათი დედოფალი.
ასე მიიწურა კვირა, გოგიც დროზე ჩამოფრინდა,
ახალ „წამლის“ მოლოდინში ყველას სახე გაუბრწყინდა.
გაიხარეს მეგობრებმა რა იხილეს „ჩეკთა“ დასტა,
თამთამ ტაში შემოკრა და სიხარულით ახტა, დახტა.
ერთ საღამოს, როცა გოგი „წამლისაგან“ გამოფხიზლდა,
ნახა, თამთა ვაჟას გვერდით მთლად შიშველი როგორ იწვა.
ჯერ თვალებს არ დაუჯერა, უფრო ახლოს დააცქერდა,
სახე ავად მოეღრიცა, თითქოს რაღაც გაახსენდა.
ასე იდგა გაურკვევლად, თამთა ეშმაკს შეადარა,
მან ველურად დაიღრინა, შიშველ თამთას მიეახლა.
ყელზე ძლიერ შემოაჭდო ველურივით ორი ხელი,
მთელი ძალით წაუჭირა, მთელი ძალით დაიგმინა.
მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ნახა თამთა მკვდარი,
უგრძნობ სახეს მხოლოდ ორი გახელილი დარჩა თვალი.
ვაჟას ეცა, მუშტი გაჰკრა, ტელევიზორს სთხლიშა ბოთლი.
დაიღალა, ჩაიჩოქა და დაიწყო კვნესა მოთქმით...

  რაღა დარჩა მათი ყოფით,
  „წამლის“ ბოდვა, კვამლის სუნი,
  ამ შემაზრზენ სახილველში
  გაძარცვული სიყვარული.
  წართმეული სიცოცხლე და
  ჭაობს ჩაძირული ქარი,
  მათ გონებას არც კი ჩასწვდა,
  რომ აქვთ ქვეყნად ყოფის ვალი.
  არ იფიქრეს მათ აწმყოზე,
  არ იარეს მათ სწორ გზაზე,
  არ მიეცნენ შრომის ტალღას,
  არ ჩაფიქრდნენ მომავალზე.

დღეს კი თავი ჩაუღუნავთ,
თვალზე ცრემლი მოსდგომიათ.
თავზე ხალხის სიძულვილის,
ცეცხლის ალი დასდგომიათ.
დარბაზიდან ეყურებათ
სიძულვილის შეძახილი,
იქნებ, უკვე გვიანია
ამ „ხეობის“ მოძახილი?
შავ ძაძებში მოსთქვამს ქალი,
„შვილო, თამთა“ — ისმის კვნესა.
იქნებ ესეც გვიანია?
იქნებ თამთა ადრე მოკვდა?

მოკვდა მაშინ, როცა დედას
აერიდა, გვერდზე გადგა,
„წამლისა და კვამლის ბახუსს“
ეშვილა და მასთან დარჩა.
სად იყავი მაშინ დედა!
როცა მე შენ ხელი გკარი?
ცრემლი ასე არ დაგღლიდა,
შენი ხელით მოგეკალი!
ახლა შენ ხარ დამნაშავე,
ახლა შენ ხარ „ნარკომანი“,
არა ცრემლი არ გიშველის,
ცრემლი მევე მოგიკალი.
ესმის დედას ეს სიტყვები,
შავ ძაძებში სახეს მალავს.
ესმის თამთას წყევლის ხმები
„დანაშაულს ვერ დამალავ“.
ვერ დამალავთ დანაშაულს ზაზას,
გოგის, ვაჟას, ნიკას
მშობლებო და აღმზრდელებო,
სარეცელთან თვითონ მიხვალთ.
მათთან ერთად დამნაშავე,
განსასჯელი თქვენ ხართ ყველა.
თქვენ აქციეთ „ნარკომნებად“,
ახლა მოთქვამთ? ახლა ღელავთ?
ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენს გვერდით
ატარებდეთ მშობლის სახელს.
შავ ძაძებში რად არ მალავთ
თქვენს შერცხვენილ, მოსვრილ სახეს?
ანდა სკოლა რაღას გვეტყვის,
გამოცდილი აღმზრდელები,
შეგვიმცირდა სახვალიოდ
ერის შვილთა გამზრდელები?
მათ წინაშე ყველა ტყუის,

ყველა, ვინც მათ ჰკიდა თვალი,
არ ალაგმა მათი ქცევა,
აარიდა ჩუმად თავი.
რა იქნება განაჩენი?
მკაცრი, თუნდაც ლმობიერი,
მთავარია ერს დააკლდა
ხუთი სხივი - მშვენიერი.

`

თვითმკვლელები

1

პროვიზორის პროფესია არის ფრიად საპატიო,
არ იქნება ამ საქმეში უპატიო გეპატიოს.
უნდა იყო მუდამ ფრთხილი, ცოდნა შენად დაიგულო,
არ გაანდო უცოდინარს შენი საქმის საიდუმლო.
იყო ახლის ძიებაში, ის ახალი ხალხს ახმარო,
შენი ნიჭი და გონება მათ სიკეთეს მოახმარო.
თუ თვალს ჰკიდებ, რომ კოლეგა სხვა შავ მიზნებს ახმარს ცოდნას,
ნუ დაინდობ, შენვე დაგმე, არ ახარო მისი ყოფნა.
ზარდე ერის სასიკეთოდ სახვალიო მომავალი,
ქმენი ყოფის ელექსირი, შეაყოვნე წარმავალი.
ხალხი ასეთ საქმის ჩამდენს, აგაფრენს და აგიტაცებს,
მადლიერი თაობები, შენად ნაშრომს დაგიფასებს.

2

ზურაბიმ და გივიმ სკოლა ერთ სოფელში დაამთავრეს,
„პროფში“ სწავლა გადაწყვიტეს, საბუთები ჩააბარეს.
პროფესიად მათ ორივემ ხარატობა აირჩიეს.
„თოხს ხომ მაინც სჯობიაო“ იხუმრეს და გაიცინეს.
ინსტრუმენტის მძიმე ჩანთა დღეს ორივემ ჩაიბარა.
თანრიგი რომ მიანიჭეს, ორივმ ერთხმად გაიხარა.
ბინაც ერთად იქირავეს ქარხანასთან იქვე ახლოს,

მათნაირი „უბინაო“ ამ უბანში ბევრი სახლობს.
საფიქრალი არა აქვთ რა, ხელფასიც აქვთ სოლიდური.
უცხოსა და ახლის ხილვას ესწრაფება მათი გული.

3

იმ დღეს გივიმ უთხრა ზურაბს, ორი ბიჭი გავიცანი,
ჩვენს მახლობლად უცხოვრიათ, შენზეც გვქონდა საუბარი.
დღეს მინდა რომ დავპატიჟოთ, შენც გაიცნობ უფრო ახლოს,
ორივენი სტუდენტია, ჩვენნაირად ქირით სახლობს.
საღამოთი შეიკრიბნენ, სიტყვა უთხრეს ერთურთს თბილი,
სოფლის ღვინომ, პურმარილმა მოუტანათ სიხარული.
თენგიზსა და გელას თურმე ერთ სკოლაში უსწავლიათ,
ერთ სოფელში გაიზარდნენ, მეზობლებად უცხოვრიათ.
ორი წლის წინ მოწყობილან, გელა ანსაბლშიაც მღერის,
ორივეა მომავალი ინჟინერი, პროვიზორი.
ერთ საღამოს გელამ ბიჭებს გაუწოდა რაღაც ხმელი,
ბევრი სინჯეს, მაგრამ მაინც ვერ გაუგეს ვერაფერი.
მაშინ გელამ გაიცინა და აუხსნა ერთად ბიჭებს,
ამას „კოკნარს“ ეძახიან, რომ დაღეჭავ „კაიფს“ იჭერ.
ეს გამხმარი ყაყაჩოა, უფრო სწორედ მისი გული.
არ გეგონოთ ყრია სადმე, ჯდება არცთუ მცირე ფული.
გულს, „გალოვკებს“ ეძახიან, ახმობენ და ხელით ფქვავენ,
აი, მტვრად რომ გადიქცევა, სწორედ მაშინ დაღეჭავენ.
სასიამოდ შეგახურებს, გაგაბრუებს და დაგათრობს,
რაც კი ადრე არ მოგწონდა, მოგაწონებს და გაგართობს.
შეიძლება წყალთან ერთად მოადუღო და დალიო,
დოზა უნდა შეარჩიო, მთავარია, არ არიო.
„ქიმიასაც“ აკეთებენ, მას ხარშავენ რთული წესით
და ვენაში იკეთებენ, გამოხარშულ წმინდა ნემსით.
ბიჭებს გელას მონაყოლმა ინტერესი გაუღვიძა,
უცხო მტვერი ბევრი ღეჭეს, სახეები დაებრიცათ.
გემო არცთუ მოეწონათ, მაგრამ ტანში იწყეს თბობა.
სასიამოდ მოეძალათ უცხო მტვერით უცხო თრობა.
რაღაც დროის მონაკვეთში მართლაც იგრძნეს თავის რყევა,

როცა თრობამ გადუარათ, მათ აუტყდათ გულის რევა.
ახველეს და აბოყინეს, დაუწითლდა ყველას თვალი,
შეგრძნებები ისეთი აქვთ, თითქოს ფუთი ადევთ თავი.
სხვა დღეებში ღეჭვის ნაცვლად მოადუღეს წყალთან ერთად,
დოზას უფრო მოუმატეს და გადაჰკრეს ყველამ ერთხმად.
სითხემ უცბად მიიზიდა, გულიც აღარ აერიათ,
სითბომ ტანში დაუარათ, თრობით რეტი დაერიათ.
აი, ეს კი მოსწონთ ბიჭებს, მისცეს „კოკნარს“ შეფასება.
ახლა მიხვდნენ თუ რომ „კაიფს“ რატომა აქვს „დაფასება“.
თენგიზს ჰქონდა შეგროვილი ფული პალტოს შესაკერად,
ყველა გელას ჩააბარეს სიამის მტვრის შესაძენად.
ინსტიტუტში „სანდო ბიჭებს“ გელა შეეკითხა ყველას,
როგორ უნდა „კოკნარიდან“ „შავი წამლის გამოღება“.
ზოგმა მხრები აიჩეჩა, არ იცოდნენ, ვერ ასწავლეს,
ბოლოს ერთმა ბიჭმა გელას პროვიზორთან მიასწავლა.
უთხრა, იცნობს ის ასეთ კაცს, სხვაგანაც აქვს გაგონილი,
რომ გასწავლონ ეს პროცესი, დაგიჯდება მცირე ფული.
ამ საღამოს გელა ბიჭებს ეთათბირა ამ საკითხზე.
უთხრა, რომ მას შესასწავლად დასჭირდება ზრუნვა ფულზე.
არც აციეს, არც აცხელეს, ფული გელას ჩააბარეს,
შერჩეული ეს „დესპანი“ „სასწავლებლად გაამგზავრეს“.
ნაცნობ ბიჭმა წაიყვანა გელა ქიმიკოსთან სახლში,
დაარიგა, იყოს ჩუმად, არა გაავრცელოს ხალხში.
„ქიმიკოსმა“ ჩაიბარა გელასაგან სწავლის ფული
და იმ დღესვე ჩაუტარა მას პირველი „გაკვეთილი“.
სწავლამ ერთ კვირას გასტანა, აითვისა საქმე „რთული“,
დაუბრუნდა მეგობრულ წრეს, ამ სიახლით განსწავლული.

4

დატრიალდნენ მეგობრები, შეიძინეს „ინვენტარი“.
ყველაფერი მათ ხელთა აქვთ, არა არის საძებარი.
ძალზე ფრთხილად იწყო გელამ „შავი წამლის“ მომზადება.
თურმე კარგად მომზადებულს აქვს ძლიერი მოქმედება.
მოიხმარა მეგობრები, ყველას რაღაც დაევალა,

შრომის ნაყოფს რომ შეხედა, გელამ ძლიერ გაიხარა.
გამოხარშა სწრაფად შპრიცი, ამოწოვა მუქი ხსნარი,
ბამბა სპირტში დაასველა, შეუზილა თენგიზს მკლავი.
გაიკეთა ყველამ ნემსი, ეზიარა ყველა „წამალს“,
განაბული დაელოდნენ მისი თრობის მომგვრელ ძალას.
„წამალმაც“ არ გააწბილა, მოუტანა ყველას თრობა,
აბსტრაქტული „სილამაზის“ გაუღვივა ყველას გრძნობა.
მიესვენენ ტახტს და საწოლს, ახვევიათ თავზე რეტი,
გონებაზე რომ მოვიდნენ, გააბოლეს სიგარეტი.
იმ საღამოს ერთად დარჩნენ მერაბის და გოგის სახლში,
უსიამო შეგრძნება აქვთ, აერიათ სისხლი ტანში.
გვიან ღამით გელამ იგრძნო, რომ ხელ-ფეხი უცივდება,
მას ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს გული უსივდება.
შუბლი ოფლით დაეცვარა, მთლად წაერთვა მკლავში ძალა,
გადმობობღდა საწოლიდან, ფორთხვით კარებს მიეძალა.
სცადა მისი გამოღება, გაიშვირა ორივ ხელი,
მაგრამ უმალ ჩაიჩოქა, გაქრა მისთვის ყველაფერი.

საზარელი სურათია,
წამლის სუნი, „შავი“ კვამლი.
აი, თრობის დასასრული!
— ოთხი ახალგაზრდის გვამი.
ოთხ ოჯახში, ოთხი დედის
გოდება და მწარე ხვედრი,
ახლობლების მდუღარება,
შავი ძაძა, შავად მწველი.
შავ ჩარჩოდან სურათები
გითვლით მშობლებს საყვედურებს,
მარტო რატომ მიგვატოვეთ,
გვერდიდან რად მოგვიცილეთ.
ხომ იცით, რომ ამ ასაკში
თავს გვეხვევა ყველა ვნება,
ამ ასაკში უნდათ შვილებს
მშობლის დიდი ყურადღება.

ჩვენ არა ვართ დამნაშავე,
დამნაშავე თქვენ ხართ ყველა,
აღმზრდელებო, მეგობრებო,
ჩვენი ცოდვა გედოთ ყველას.
დროზე რად არ შეგვაჩერეთ,
რად არ გამოგვტაცეთ შხამი,
რად წაგვართვით სიყვარული,
ჩაგვიფერფლეთ მომავალი.

`ეშმაკის მოციქულები

1

იმ დღეს ოთარს თავბრუსხვევა არ მოეშვა, შეახურა,
გადაქექა სამალავი, „უწამლობამ“ დაამწუხრა.
ვერ დაწყნარდა, ვერ დამშვიდდა, ამტვრევს ტანში, რბილში, ძვალში,
საწოლიდან ვეღარ ადგა, თავიც კი ვერ გაყო კარში.
ნახა რაღაც ტაბლეტები, შეაქუჩა ერთი მუჭა.
ყველა ერთად გადაყლაპა და საწოლზე მიიკუჭა.
თითქოს რაღაც შვება იგრძნო, დაუარა ტანში სითბომ,
ცოტა გონზე რომ მოვიდა, მან ტანსაცმლის ჩაცმა იწყო.
ნაცნობ ექიმს დაურეკა, უთხრა ნახვა უნდა მისი,
ოთარი ამ ექიმს იცნობს ბარე წელიწადი ხუთი,
ჩაჯდა „ტაქსში“, გაეშურა და მიადგა სამსახურში.
წამალი რომ „ხელად იპყრო“, იწყო „ბოდვა“ სიხარულში.
უმალ სახლში გამობრუნდა, წამალს მისცა თავის ვნება,
თრობამ ოთარს მოუტანა ხალისი და მოსვენება.

2

ოცი წელი არის უკვე, რაც ოთარი ამ გზით მიდის.
საიმედოდ დაცული აქვს „წამლის“ მოპოვების ხიდი.
მას იცნობენ სანდო კაცად, „შავ წამალს“ არ ეტანება,
„ქიმიას და მისსა მსგავსებს“ არ ცნობს, ზედ არ ეკარება.
საიმედო ნაცნობობის ქსელი კარგად გაუბია,
მხოლოდ მტკიცე ნდობის ფასად გზა სიმყარით დაუგია.
ერთი კია, რომ ოთარი ხშირად ცხარედ იწყევლება.
ახსენდება მას წარსული, მწარე ცრემლით იცრემლება.
სწყევლის იმას, ვინც პირველმა შეაჩვია ასეთ თრობას,
სამუდამოდ გამოსტაცა ცხოვრებას და ნანატრ გრძნობას.
მდარე ცხოველს დაამსგავსა, ეშმაკთ მოდგმის სახედ იქცა,
ერთ დროს გავდა ადამიანს, დღეს „ნარკომნად“ გადაიქცა.
მოაქცია წამლის კუტად, ხრწნა არსების სიხარული,

სამუდამოდ გამოსტაცა წუთისოფლის სიყვარული.

3

ნარკომანებს არსენალში აქვთ საკმაო წამლის ნუსხა,
საექიმო სახით რაც აქვთ, ეძახიან იმას „სუფთას“.
რასაც თვითონ ამზადებენ, აგროვებენ მინდორ ველად,
მას შავ წამალს ეძახიან, თუნდ არ ჰგავდეს ის შავს ფერად.
„შავ ბაზარზე“ ნარკოტიკი სოლიდური ფასით ფასობს.
მყარი ფასი მას არა აქვს, მატებისკენ ის თამაშობს.
ნარკოტიკით მოვაჭრეთა ნუსხამ იწყო მომატება,
მათაც „მიმტანების“ მსგავსად იწყეს ფასის წამატება.
ზოგ მოვაჭრეს, ახალბედას „ასორტიმენტს“ არ უქებენ,
ამ ბოლო დროს ასეთ ვაჭრებს უფრო ხშირად „აშუქებენ“.
არის კიდევ ნარკოტიკის მოვაჭრეთა ერთი წყება,
ვისაც ძალუძს ფულის ფასად მოგიტანოთ „გახარება“.
მთავარია მოისურვოთ, რით გსურთ თავის გაბრუება,
უმალ ყველას მოგართმევენ, არ მოგიწევთ სხვაგან ძებნა.
ფასები აქვს სოლიდური, ყველაფერი არის ძვირად,
თუ გინდა რომ ნდობა გქონდეს, მიაკითხო უნდა ხშირად.

4

ყოვლისშემძლე ხალხად იცნობს ძალზე ბევრი ნარკომანი,
„ვარდოსა და სტოპას“ წამალს სიტყვა ეთქმის საქებარი.
ცოლ-ქმარს გული კეთილი აქვს, სარფს ხელიდან არ უშვებენ,
შუაღამეს რომ მიადგე, უწამლოდ არ გაგიშვებენ.
აგერ, უკვე ათი წელი ატარებენ თავის „სახელს“,
მათ დიდი აქვთ ნაცნობობა, ჯერ არ ჩავარდნიათ საქმე.
იცის უბნის ინსპექტორმა, თუ რით ვაჭრობს ეს ოჯახი,
მათთან ხშირად უსტუმრია, ნანახი აქვს მათი სახლი.
ჭერზე ძველმოდური „ლუსტრა“, მუხა-წაბლის კარ-ფანჯრები,
ვიდეო და თეთრი „ვოლგით“, რომ ილხენენ „ჯამბაზები“.
ისიც იცის, ბევრი უცხო რომ ირევა იმათ სახლთან,
მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის „იმეგობროს“ ამ ოჯახთან.
სტოპას ბევრი ნაცნობი ჰყავს, სანდო კაცის სახელი აქვს.

სუფთა გადამხდელი არის, ამით გზა სულ ნათელი აქვს.
უხვადა აქვს პრომედოლი, ნოქსირონი, ომნოპონი,
ბარბაცინი, კოდეინი, კატერპინი, როდედორმი.
იცის მათი მოხმარება, მათი მოქმედების ძალა,
ფასიც სოლიდური უდევს, ძვირს რომ იხდის არც თვით მალავს.
გაიგონებთ სტოპას ნათქვამს, რაც ხალხს მოსწონს ჯდება ძვირი,
მათი გულის გასახარად არ ინანო უნდა ფული.
„შავ წამალსაც“ ეზიდება, უხვადა აქვს ყველა სახის,
ამიტომაც მას ამ წრისთვის სახელი აქვს „ნაღდი“ კაცის.
უსიამოც ახსოვს ბევრი, „კლიენტებმა“ უქნეს საქმე,
მილიციას ჩაუვარდნენ, სტოპაც, ვარდოც ბევრჯერ გათქვეს.
ბევრჯერ ჩხრიკეს მათი სახლი, ნარკოტიკიც ბევრჯერ ნახეს,
მაგრამ სტოპას მოქმედებით „ვერაფერი დაინახეს“.
ასე არის როცა კაცმა იცის, ხელი რომ ბანს ხელსა,
„რა გამხმარი უნდა იყოს, გული მაინც უჩანს ხესა“.
თუ „კაცურად“ მიუდგები და ფულს ჯიბეს დაიგულებ,
შენი ესე მოქმედებით ეშმაკსაც კი გააჩუმებ.
ელის სტოპას გამოჩენას ტაშკენტი და სამარყანდა,
უხვად მოაქვს ნარკოტიკი, არ ეტყობა არა დაღლა.
ვარდოც სტოპას ჩამოტანილ ნარკოტიკებს ახარისხებს,
მათ ორივეს საღამო ხანს ფულის დათვლა ახალისებთ.
საქმოსნები ამ საქმეში არავის არ ახედებენ,
არ ადარდებთ, თავის საქმით „თეთრ სიკვდილს“ რომ ავრცელებენ.

„ძალის სიყვარული"

მათმა მსგავსნმა ამ ბოლო დროს
უხვად იწყეს გამრავლება,
ჩვენი ცრემლის ფასად მოსდით,
მათ სახეზე გახარება.
ნუთუ მათი „სამსახური"
ჩუმია და დაფარული?
ნუთუ აღარ დადგა ხანი
მათი საქმის დასასრულის?
რად ჩუმდებით მეზობლებო,
ახლობლებო, მეგობრებო,
თქვენ, კანონის მსახურებო,
მათთან საქმით მებრძოლებო.
როგორ უნდა მოიხმაროთ
ანდა შვილებს გაუწოდოთ,
მათი შხამიანი ხელით
მორთმეული გასამრჯელო?
ნუ ჩუმდებით, დროა უკვე

ხელი ვტაცოთ ამ წურბელებს,
თორემ თქვენვე ჩაგახრჩობენ
თქვენისავე ცრემლის მორევს,
მოშხამავენ თქვენს მომავალს,
სიკვდილს მეკვლედ გაახლებენ,
სამომავლოს, საოცნებოს
ეშმაკივით გაგიქრობენ.

შენი მომავლით ნათდება შენი ერისა ლამპარი,
თუ ლამპარს სხივი ჩაგიქრა, ხელთ გაგეშვება საპყარი.
მიწა შვილს მაშინ გიწოდებს, თუკი მის შრომად იქმნები,
მისი ხვავის და ბარაქის შემქმნელად გარდაიქმნები.
მშობელმა მიტომ გაგზარდა, რომ ქვეყნის ფარად აენთო,
თუკი შენს მიწას დასჭირდა, მისდა მახვილად დაენთო.
არა ქმნა საქმე ბოროტი, კეთილს აუხსენ საბამი,
ქმენ სასიკეთო სიახლე, მიეცი მას დასაბამი,
ყრმათ მეგზურობა ირჩიე, სიკეთის მთისკენ გაუძეხ,
ეშმაკთ ლაშქარს თუ იხილავ, მათ შესამუსრად ჩაუძეხ.
მტერთა სიმრავლემ არ გაკრთოს, ომს ფიცხი გული სჭირია,
შენს თანამზრახველს გაუყავ შენი ჭირი და ლხინია,
სიკეთით აკრთე ბოროტი, შენი გონებით ამარცხე,
ვისაც რომ დღემდე ჩაგრავდა, მისი ფეხის ქვეშ განართხე.

არ დაგავიწყდეს, გახსოვდეს — მტერი გყავს ჩასაფრებული,
პირისპირ რომ ვერ გამარცხებს, შხამი აქვს მომარჯვებული,
ლაჩარი კაცი მონახა, ეშმაკთ მსახურად აქცია,
შხამით მას თრობა ასწავლა, მთესველად გადააქცია,
უმრავლა თანამოსაქმე, მათაც უწამლა სულები,
შხამი მათ სარფად აქცია, უხარა ამით გულები.
არ დაახანეს ლაჩართა, შექმნეს უზნეოთ ლაშქარი,
შხამით დაუხშეს გონება, ჩაუქრეს ყოფის ლამპარი.
წაართვეს ხალხის სამსახურს, სიკეთის ტოტი მოხერხეს,
ხვალის მოსავლის სახილველ ნამყენს საკვირტე მოსჩეხეს.
თრობის ტრფიალის ქადაგად გადააქციეს მხედარი,
ქვეყნის მსახურად გაზრდილი, დედას უბრუნეს ცხედარი.

დედებო, გამოიღვიძეთ!
ხელად გეცლებათ გაზრდილი,
დროა მახვილად მოექცეთ,
ააფრიალოთ მანდილი.
წინ გადუდექით მოვარდნილ,
შხამით ნაზვირთებ სტიქიას,
თუ არა, შხამი მოგიკლავთ,
წვალებით რაც გაგიზრდიათ.
მამებო! ბრძნული გონებით
შხამს ააგლიჯეთ შვილები,
თორემ მდუღარედ გექცევათ
ეგ ლმობიერი გულები.
ცრემლიც კი არ შეგერგებათ
თუ შხამს აჩუქეთ გაზრდილი,
თვითონვე დაგასამარებთ
ბოროტ ვნებებში გართული.
სკოლავ! შენა ხარ თაობათ
წვრთნა, აღზრდა, ყოფის მიზანი,
არ გირჩევ, გვერდზე გადგომას,
ნუ ხდები ლაჩართ ხიზანი.

ხმა აიმაღლე, ეკვეთე,
შენი ყრმა შხამში ჩაფლულა,
დააშრე შხამის ჭაობი,
სანამ სხვაც ბევრი დაფლულა.
გაუძეხ შენს აღსაზრდელებს,
„თეთრ სიკვდილს“ გადაუდექით,
მას ყველა ძარღვი მოუსპეთ,
მისსა სიკვდილად იქეცით.
თორემ დრო მოვა, გახსოვდეს,
უყრმობა გაგიჭირდება,
სიბრძნის სანთელი ჩაიწვის
და კერა გაგიცივდება.

1986 წლის 21 ოქტომბერი

შენ აღარ ხარ ნარკომანი!!!

შენ ჯერ კიდევ უყვარხარ მშობელს, თუნდაც ის მოსაკლავად დაგდევდეს.

შენ ჯერ კიდევ უყვარხარ ნათესავებს, თუნდაც ისინი კეთროვანივით გერიდებოდნენ.

შენ უანგაროდ უყვარხარ სადარბაზოს შემოხიზნულ ძაღლს.

შენ ალალად უყვარხარ მეზობლის პატარა ბავშვს.

და შენ უყვარხარ უფალს, რადგან ჩვენ ყველანი ღვთის შვილები ვართ.

შენ გაკლია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის სიყვარული, რამეთუ გიყვარს არა შენი ნამდვილი მთლიანი მე, არამედ საკუთარი თავის მხოლოდ არცთუ საუკეთესო ნაწილი...

შენ ალბათ იცი, რომ მსოფლიოში ბევრმა ცნობილმა ადამიანმა შეძლო ნარკოტიკებისთვის თავის დანებება, ბევრიც „წამალში გაიპარა“. სწორედ რომ გაიპარა და არა გარდაიცვალა, რადგან „წამალ-საწამლავით“ სის-ტემატურად თავის მოწამვლას ნელი თვითმკვლელობის — ამ ღვთისგანაც უპატიებელი საქციელის — გარდა, სხვა სახელი არ ჰქვია.

წამალი — საწამლავი... არადა ქართული ენის გარდა არც ერთ სხვა ენაში არ არის ეს სიტყვა სინამდვილეში ერთი და იგივე.

იფიქრე შენს თავზე, იფიქრე ყოველივე ამაზე იმიტომ, რომ სანამ თუნდაც ერთ სულიერს უყვარხარ, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!

შენი ბრძოლა გადაწყვეტილების მიღებაა. არა, უფრო მეტია — რწმენამდე მისვლაა, რომ შენ გაქვს მომავალი, რომ „ციხე მოიხადე“ და ახალი ცხოვრების დაწყება შესაძლებელია.

სწორედ რწმენამდე მისვლაა შენი პირველი და უმთავრესი ნაბიჯი სიცოცხლისკენ.

მაშ, გადადგი ეს ნაბიჯი, გააკეთე მათთვის ვისაც უყვარხარ, გააკეთე ეს შენთვის...